მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2017 წლის 9 იანვარი

ქ. მარტვილი

,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/01/2017, საიდენტიფიკაციო კოდი: 010250020.35.109.016205) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება თითოეულ ოჯახზე 500 ლარის ოდენობით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონია**